სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

13 10 2020 წ. № 145 ქ. თბილისი

საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებისთვის კონკურსის „წერე ქართულ კინოზე" გამოცხადების თაობაზე და გამარჯვებულებისთვის ჯილდოს დაწესების თაობაზე

სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო" და „ტ" ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.2020 წლის 13 ოქტომბრიდან გამოცხადდეს კონკურსი საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის, კინოჟურნალისტიკის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის „წერე ქართულ კინოზე" დანართ 1-ში აღწერილი პირობებით.

2. დამტკიცდეს კონკურსში „წერე ქართულ კინოზე" მონაწილეობის მსურველთათვის თანდართული განაცხადის ფორმა (დანართი 2).

3.კონკურსის „წერე ქართულ კინოზე" გამარჯვებულებისთვის დაწესდეს ჯილდო პირველი, მეორე და მესამე ადგილებისთვის:

ა) ჯილდო პირველი ადგილისთვის გულისხმობს, გამარჯვებულის დასწრებას ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე. კინოცენტრი დააფინანსებს ფესტივალზე დასწრებას 5 დღის მანძილზე, მათ შორის აკრედიტაციას, მგზავრობას, დღიურ და სასტუმრო ხარჯებს. ფესტივალის პანდემიის მიზეზით ონლაინ-სივრცეში გადანაცვლების შემთხვევაში გამარჯვებული უზრუნველყოფილი იქნება ამ ფორმატში ფესტივალზე დასწრებისათვის საჭირო აკრედიტაციით და ჯილდოს სახით მიიღებს 3 000 (სამი ათასი) ლარს.

ბ) ჯილდო მეორე ადგილისთვის გულისხმობს, საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი წლის საფასურს ან სტიპენდიას, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი;

გ)მესამე ადგილისათვის ჯილდო გულისხმობს საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი სემესტრის დაფინანსებას ან სტიპენდიას, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

დანართი 1

Georgian National Film Center
საქართველოს კინოდოკუმენტაციის ეროვნული ცენტრი

წერე ქართულ კინოზე

კონკურსის პირობები

კონკურსის გამოცხადების თარიღი
2020 წლის 13 ოქტომბერი

კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით კინომცოდნეობისა და კინოკრიტიკის განვითარების ხელშეწყობა.

უფლებამოსილი კონკურსანტი
კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების კინომცოდნეობის, კინოჟურნალისტიკის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.
კონკურსანტი არ უნდა იყოს ამავე კონკურსის გასული წლების პრიზიორი.

კონკურსის ჯილდოები
კონკურსის შედეგად გამოვლინდება სამი გამარჯვებული სტუდენტი.

- პირველი პრიზი - გამარჯვებული დაესწრება ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალს. კინოცენტრი დააფინანსებს ფესტივალზე დასწრებას 5 დღის მანძილზე, მათ შორის აკრედიტაციას, მგზავრობას, დღიურ და სასტუმრო ხარჯებს. თუ ფესტივალი პანდემიის მიზეზით გადაინაცვლებს ონლაინ-სივრცეში, სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ამ ფორმატში ფესტივალზე დასწრებისთვის საჭირო აკრედიტაციით და ჯილდოს სახით მიიღებს 3 000 ლარს.
- მეორე პრიზი - პრიზის მფლობელი დაფინანსდება საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი წლის საფასურით ან სტიპენდიის სახით მიიღებს ამ თანხას (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი).
- მესამე პრიზი - პრიზის მფლობელი დაფინანსდება საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი სემესტრის საფასურით ან სტიპენდიის

სახით მიიღებს ამ თანხას (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი).

კონკურსის ეტაპები

კონკურსი გაიმართება რამდენიმე ეტაპად;

თავდაპირველად კინომცოდნეებისგან დაკომპლექტებული კომისია განიხილავს შემოსულ განაცხადებს (ფილმის რეცნზიას და სხვა დოკუმენტაციას) და არჩევს კონკურსანტებს.

კომისიის მიერ შერჩეულ კონკურსანტებს დაევალებათ ბოლო 5 წლის განმავლობაში გადაღებულ 7 ქართულ ფილმზე ესეს დაწერა.

კონკურსის მომდევნო (ძირითადი) ეტაპზე კომისიის მიერ მოხდება სამი გამარჯვებულის გამოვლენა უბრალო ხმათა უმრავლესობით.

<u>სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაცია:</u>

1. <u>განაცხადის ფორმა</u> (ამობეჭდეთ, შეავსეთ, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ);
2. ბიოგრაფია - CV;
3. ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან, რომელიც ადასტურებს, რომ კონკურსანტი არის კინომცოდნეობის სპეციალობის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტი;
4. ფილმის რეცენზია.

საკონკურსო განაცხადის და დოკუმენტაციის წარმოსადგენად ონლაინ ფორმატით გადადით მითითებულ ლინკზე
<u>https://forms.gle/pdeyAw3amcKZWm2f7</u>

კონკურსის ძირითად ეტაპისთვის ნაშრომები კონკურსანტებმა უნდა გამოგზავნონ WinRAR ZIP ფორმატში მეილზე <u>t.gabidzashvili@gnfc.ge</u> **და ველში „თემა“ მიუთითონ „წერე ქართულ კინოზე“.**

ვადები

საკონკურსო დოკუმენტაცია მიიღება ელექტრონული ფორმით 2020 წლის 26 ოქტომბრის 17:00 სთ-მდე;

კონკურსის ძირითად ეტაპისთვის კონკურსანტების მიერ ნაშრომების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2020 წლის 27 ნოემბრის 17:00 სთ;

საკონტაქტო პირი:

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ კინოცენტრის კინოგანათლების მიმართულების პროექტების მენეჯერს, თეა გაბიძაშვილს,
ტელეფონი: 591109569; ელ. ფოსტა: <u>t.gabidzashvili@gnfc.ge</u>

დანართი 2

Georgian National
Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

განაცხადი
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად

კონკურსი: წერე ქართულ კინოზე!

განმცხადებელი:
_____
(სახელი, გვარი, კურსი, საკონტაქტო ტელეფონი, ელ.ფოსტა)

უმაღლესი სასწავლებლის დასახელება:
_____

განმცხადებლის ხელმოწერა: **თარიღი:**